



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2017 წლის 27 თებერვლის
 № 2319 დადგენილებით
მოდულიზირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2018 წლის 8 ნოემბრის
 № 01-05-04/319 დადგენილებით

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

აგრონომია
Agronomy

ფაკულტეტი

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი
Faculty of Agricultural Science and Bio-system Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი

სრული პროფესორი ვლადიმერ დოლიძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

<p>აგრონომიის ბაკალავრი (Bachelor of Agronomy) მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული ძირითადი სპეციალობის არანაკლებ 222 კრედიტისა და თავისუფალი კომპონენტების არაუმეტეს 20 კრედიტის კომბინირებით, 242 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.</p>
--

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

<p>ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.</p>
--

პროგრამის აღწერა

<p>პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება</p>

წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში.

ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა. სტუ-ს რექტორის მიერ სემესტრის დაწყებამდე გამოიცემა და ვებგვერდზე ქვეყნდება აკადემიური კალენდარი.

პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი). ბაკალავრის კვალიფიკაცია მიენიჭება ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 222 კრედიტის) და თავისუფალი კომპონენტების (არანაკლებ 20 კრედიტის) კომბინირებით, ჯამში არანაკლებ 242 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობა (222 კრედიტი) მოიცავს:

ა) უცხოური ენის კომპონენტს - 10 კრედიტი. სწავლის დასაწყისში სტუდენტს აქვს უფლება ოთხი უცხოური ენიდან (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული) აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი და პირველი ორი სემესტრის განმავლობაში გაიაროს 5-5 კრედიტის მოცულობით.

ბ) არჩევით ჰუმანიტარულ სასწავლო კურსს - 5 კრედიტი. (ფილოსოფიის საფუძვლები, სოციოლოგია, გამოყენებითი ფსიქოლოგია, მოზარდთა და ზრდასრულთა ფსიქოლოგია).

გ) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 207 კრედიტი;

დ) სპეციალობის სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსებს - სტუდენტი მათგან ირჩევს საგანთა გარკვეულ რაოდენობას, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს არანაკლებ 20 კრედიტს;

პირველ სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ხუთი სასწავლო კურსი და უცხოური ენა - 5 კრედიტი. ჯამში 32 კრედიტი.

მეორე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ხუთი სასწავლო კურსი, მათ შორის ერთი არჩევითი ბლოკი, რომლიდანაც სტუდენტი ირჩევს ერთ საგანს, უცხოური ენა - 5 კრედიტი და არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსი - 5 კრედიტი, ჯამში 29 კრედიტი.

მესამე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ოთხი სასწავლო კურსი, მათ შორის: სამი არჩევითი ბლოკი, რომლებიდანაც სტუდენტი ირჩევს თითო საგანს, არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსები, რომლიდანაც სტუდენტი ირჩევს ერთ საგანს - 5 კრედიტი და უცხოური ენა - 5 კრედიტი. ჯამში 30 კრედიტი;

მეოთხე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ექვსი სასწავლო კურსი, მათ შორის ერთი არჩევითი ბლოკი, რომლიდანაც სტუდენტი ირჩევს ერთ საგანს, ჯამში 31 კრედიტი;

მეხუთე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ექვსი სასწავლო კურსი - ჯამში 30 კრედიტი;

მეექვსე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ექვსი სასწავლო კურსი, მათ შორის ერთი არჩევითი ბლოკი, რომლიდანაც სტუდენტი ირჩევს ერთ საგანს, ჯამში 30 კრედიტი;

მეშვიდე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო 6 სასწავლო კურსი, ჯამში 31 კრედიტი;

მერვე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო 1 სასწავლო კურსი, და ერთი არჩევითი ბლოკი, რომლიდანაც სტუდენტი ირჩევს ერთ საგანს, გათვალისწინებულია თავისუფალი კომპონენტები (თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები.) სტუდენტი მათგან ირჩევს 4 საგანს - 20 კრედიტი და მოდული, რომლის არჩევის შემთხვევაში სტუდენტი სწავლობს ყველა საგანს, რომელიც გაერთიანებულია მოდულში, აგრეთვე გათვალისწინებულია სასწავლო პრაქტიკა (9 კვირა, დღეში 5 სთ), ჯამში 29 კრედიტი.

დეტალური ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ მოცემულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/dadg_2691_18_SD.PDF

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი აგრონომიის დარგში, რომელიც საერთაშორისო მეცნიერული და სასწავლო სფეროში ინტეგრირების პირობებში, შეძლებს კონკურენციის გაწევას აგრობიზნესის სექტორში და იქნება ორიენტირებული მომხმარებლის საჭიროებებზე. ექნება პროფესიული, ჰუმანიტარული, სოციალური და ეკონომიური განათლება. შეეძლება აგრონომიის თანამედროვე მიღწევების გამოყენებით დანერგოს და განახორციელოს საკვები, მინდვრის, ბოსტნეული, მრავალწლიანი სასოფლო სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანა, მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება – პროფესიული აგრონომი უზრუნველყოფს მემცენარეობის პროდუქციის მოყვანის დაგეგმვას და ორგანიზებას.

აგრონომს გააჩნია ცოდნა:

- მინდვრის, საკვებ, ბოსტნეულ, მრავალწლიან სასოფლო სამეურნეო კულტურების მოყვანის თანამედროვე მეთოდების;
- ჯიშების, თესლის, სარგავი მასალების
- ნიადაგის და მისი ნაყოფიერების;
- სასუქების, ჰერბიციდების
- სასოფლო სამეურნეო ტექნიკის შესახებ;

იცის:

- მცენარეული სამყაროს განვითარების ბიოლოგიური კანონზომიერებანი;
- მცენარის მორფოლოგიური და ანატომიური სტრუქტურები და მასში მიმდინარე ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესები;
- გააჩნია ცოდნა სათესი მასალების შესახებ და მათი ხარისხის შეფასების მეთოდები;
- სასოფლო სამეურნეო კულტურების მოყვანის თავისებურებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ხარისხიანი მოსავლის მიღებას;
- ნიადაგწარმოქმნის ძირითადი ფაქტორების, მორფოლოგიური ნიშნების, შედგენილობის და თვისებების, ნაყოფიერების და მისი ამალღების გზების შესახებ;
- სასოფლო სამეურნეო კულტურების მოთხოვნილება საკვებ ელემენტების მიმართ და მათი უზრუნველყოფა სასუქების მეშვეობით;
- სასუქების გამოყენების მეთოდები და ნორმები, რომელიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო და ხარისხიანი მოსავლის მიღებას;
- გააჩნია ცოდნა მიწათმოქმედებაში არსებულ თანამედროვე სისტემებზე, თესლბრუნვაზე;
- ცნობს სასოფლო სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმებს (სარეველა მცენარეებს, მავნებლებს, დაავადებების გამომწვევ მიკროორგანიზმებს) და ფლობს მათგან დაცვის მეთოდებს;

გაცნობიერებულია აქ:

- სასოფლო სამეურნეო უსაფრთხო პროდუქციის მოყვანის პრინციპები და ის საფრთხეები, რომელიც დაკავშირებულია მცენარის ქიმიკატების და სასუქების მეცნიერულად დაუსაბუთებელი გამოყენების შემთხვევაში;
- ნიადაგის ეროზიის, გამჟავების, დამლაშების გამომწვევი მიზეზები და ფლობს მათთან ბრძოლის მეთოდებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – ფლობს სასოფლო სამეურნეო კულტურების მოყვანის თანამედროვე მეთოდებს. შეუძლია აგროსფეროში მომუშავე სტრუქტურების მუშაობის ორგანიზება და მართვა, საწარმოო პროცესების დაგეგმვა და განხორციელება. შეუძლია შეაფასოს მცენარის ფიზიოლოგიური მდგომარეობა და დაადგინოს მცენარის მოთხოვნები

საარსებო პირობების მიმართ. შეარჩიოს კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად სასოფლო სამეურნეო მანქანა დანადგარები და შეიმუშავოს მათი გამოყენების გეგმა-გრაფიკი. დაგეგმოს და განახორციელოს ნიადაგდაცვითი ღონისძიებები. მეურნეობის ძირითადი საქმიანობის მიმართულების გათვალისწინებით შეიმუშავოს თესობრუნვის სისტემა, დაადგინოს მასში სასოფლო სამეურნეო კულტურების თანმიმდევრობა და აგროტექნიკა. გაითვალისწინოს სავარგულის ნიადაგური, კლიმატური პირობები, სასოფლო სამეურნეო კულტურების თავისებურებანი და შეიმუშავოს განოყიერების სიტემები, სასუქების ნორმების, ფორმების, ხერხების და ვადების მითითებით;

დასკვნის უნარი – სტატისტიკის მეთოდების (რეგრესიული, კორელაციური ანალიზი) გამოყენებით გაანალიზოს ღონისძიებების ეფექტურობა. სარეველა მცენარეების და მავნებლების გავრცელების პროგნოზირება და რიცხვის დადგენა. მეურნეობის ფინანსური, რესურსული მდგომარეობის გათვალისწინებით დაადგინოს პოტენციური საქმიანობის მასშტაბები. შეუძლია არსებული ლიტერატურიდან და ელექტრონული წყაროებიდან ექსპერიმენტული მონაცემებისა და ინფორმაციის მოძიების უნარი და ამის საფუძველზე ადეკვატური და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა;

კომუნიკაციის უნარი – შეძლებს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემას თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;

სწავლის უნარი – შეძლებს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას; თავისი შესაძლებლობების შეფასებას, დროის მაქსიმალურად და ეფექტურად გადანაწილებას.

ღირებულებები – აგრარულ სფეროში ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა, ყველა სახის პროფესიულ საქმიანობაში, კოლეგებთან თანამშრომლობით პროფესიასთან დაკავშირებული ფასეულობების, ეთიკური პასუხისმგებლობებისა და ღირებულებების დამკვიდრება.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა
სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

(დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს

ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

5. **შემთხვევების შესწავლა (Case study)** - პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

6. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა 2

მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

7. **როლური და სიტუაციური თამაშები** - წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

8. **დემონსტრირების მეთოდი** - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

9. **ინდუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

10. **დედუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

11. **ანალიზის მეთოდი** - გვხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული

ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

12. **სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

13. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

14. **წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

15. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

16. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

17. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

- ინდივიდუალური მეურნეობები;
- კოოპერატიული მეურნეობები;
- აგროფირმები;

- სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებში;
- სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული კვლევითი ინსტიტუტები;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტაციაში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 76

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1.	ზოგადი და არაორგანული ქიმია	არ გააჩნია	6							
2.	მათემატიკის საფუძვლები	არ გააჩნია	5							
3.	ინფორმატიკის ელემენტები	არ გააჩნია	5							
4.	ბიოფიზიკა	არ გააჩნია	6							
5.	დედამიწა	არ გააჩნია	5							
6.	უცხოური ენა I - (არჩევითი სასწავლო კურსები)									
6.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B1	არ გააჩნია	5							
6.2	უცხოური ენა (რუსული) 1T	არ გააჩნია								
6.3	უცხოური ენა (ფრანგული) – 1T	არ გააჩნია								
6.4	უცხოური ენა (გერმანული) – 1 T	არ გააჩნია								
7.	შესავალი სტატისტიკაში	მათემატიკის საფუძვლები		5						
8.	კრიტიკული აზროვნების ელემენტები	არ გააჩნია		5						
9.	ეკონომიკის პრინციპები	არ გააჩნია		5						

10.	წერილობითი, ზეპირი, ვიზუალური და ელექტრონული კომპოზიცია	არ გააჩნია		5						
11.	არჩევითი ბლოკი 1									
11.1	შესავალი აგრონომიის სპეციალობაში	არ გააჩნია		4						
11.2	აგრონომიის საფუძვლები									
12.	უცხოური ენა II - (არჩევითი სასწავლო კურსები)									
12.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B2.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B1		5						
12.2	უცხოური ენა (რუსული) – 2T	უცხოური ენა (რუსული) – 1T								
12.3	უცხოური (ფრანგული) ენა - 2T	უცხოური ენა (ფრანგული) – 1T								
12.4	უცხოური (გერმანული) ენა 2 T	უცხოური ენა (გერმანული) – 1 T								
13.	ზოგადი ბიოლოგია	არ გააჩნია			6					
14.	ამინდი და კლიმატი აგრონომიაში	ბიოფიზიკა			5					
15.	არჩევითი ბლოკი 2									
15.1	ფინანსური ანგარიშგება	არ გააჩნია			5					
15.2	ბუღალტრული აღრიცხვა	არ გააჩნია								
16.	არჩევითი ბლოკი 3									
16.1	კარიერის დაგეგმვა აგრონომიაში	არ გააჩნია			4					
16.2	ფერმერული მეურნეობის საქმიანობის მართვა	ეკონომიკის პრინციპები, აგრონომიის საფუძვლები								
17.	არჩევითი ბლოკი 4									
17.1	ბიზნეს კომუნიკაცია	არ გააჩნია			5					
17.2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია									
18.	არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსები:									
18.1	ფილოსოფიის შესავალი	არ გააჩნია			5					
18.2	სოციოლოგია									
18.3	გამოყენებითი ფსიქოლოგია									
18.4	მოზარდთა და ზრდასრულთა ფსიქოლოგია									

19.	ს/მ (მინდვრის) კულტურის მოვლა-მოყვანა, პროდუქტიულობა და მართვა	აგრონომია				6				
20.	სტრუქტურები და რეაქციები ბიოქიმიურ პროცესებში	ზოგადი და არაორგანული ქიმია; ზოგადი ბიოლოგია				5				
21.	ენტომოლოგია	ზოგადი ბიოლოგია				5				
22.	ბიოგანახლებადი სისტემები	ზოგადი და არაორგანული ქიმია, ზოგადი ბიოლოგია				5				
23.	ს/მ კულტურის სტრუქტურა - ფუნქციონალური ურთიერთობები	ზოგადი ბიოლოგია				5				
24.	არჩევითი ბლოკი 5									
24.1	მელიორაციული ნიადაგმცოდნეობა	ზოგადი და არაორგანული ქიმია				5				
24.2	ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები	ზოგადი და არაორგანული ქიმია								
25.	ნიადაგი და გარემოს დაცვის ხარისხი	ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები, ზოგადი და არაორგანული ქიმია, ზოგადი ბიოლოგია				5				
26.	მცენარეთა გენეტიკა და სელექცია	ზოგადი ბიოლოგია				5				
27.	ორგანული სოფლის მეურნეობის თეორია და პრაქტიკა	ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები, ს/მ კულტურის მოვლა-მოყვანა, პროდუქტიულობა და მართვა				5				
28.	მეზოსტნეობა	ზოგადი ბიოლოგია ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები				5				
29.	სასოფლო-სამეურნეო მიკრობიოლოგია სანიტარიის და ჰიგიენის საფუძვლებით	ზოგადი ბიოლოგია				5				
30.	მევენახეობა	არ გააჩნია				5				
31.	მცენარეთა დაცვის საფუძვლები						5			

32.	სოფლის მეურნეობის მექანიზაცია	არ გააჩნია						5		
33.	მეხილეობა	ამინდი და კლიმატი აგრონომიაში, აგროქიმი, მიწათმოქმედება, მცენარეთა დაცვის საფუძვლები						6		
34.	ფიტოპათოლოგია	ზოგადი ბიოლოგია.						5		
35.	მეცხოველეობის საფუძვლები							4		
36.	არჩევითი ბლოკი 6									
36.1	სარეველა მცენარეების იდენტიფიკაცია და მათი კლასიფიკაცია	ზოგადი ბიოლოგია, ზოგადი და არაორგანული ქიმია						5		
36.2	საკვები კულტურების მართვა	ზოგადი ბიოლოგია, ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები, ს/მ კულტურის (მინდვრის) მოვლა- მოყვანა, პროდუქტიულობა და მართვა								
37.	საჯარო გამოსვლების ტექნიკა	არ გააჩნია							5	
38.	მიწათმოქმედება	ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები, ს/მ (მინდვრის) კულტურის მოვლა-მოყვანა, პროდუქტიულობა და მართვა, ნიადაგები და მცენარის ზრდა განვითარება							5	
39.	წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში	ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები							5	
40.	სასურსათო უსაფრთხოება	არ გააჩნია							5	

41.	სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობა	ზოგადი ბიოლოგია, მცენარეთა გენეტიკა და სელექცია ენტომოლოგია ფიტოპათოლოგია								5	
42.	ნიადაგი და მცენარის ზრდა-განვითარება	ზოგადი და არაორგანული ქიმია, ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები.								6	
43.	სასწავლო პრაქტიკა აგრონომიაში										5
44.	არჩევითი ბლოკი 7										
44.1	შესავალი აგრობაზრებში	ეკონომიკის პრინციპები									4
44.2	აგრობიზნესის მენეჯმენტი										
სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები (არანაკლებ 20 კრედიტი)											
45.	საკითხები მდგრად სოფლის მეურნეობაში	არ გააჩნია									5
46.	სასათბურე მეურნეობის ექსპლუატაცია და მართვა										5
47.	გეოინფორმაციული სისტემები აგრონომიაში	მათემატიკის საფუძვლები, გამოყენებითი ინფორმატიკა									5
48.	ნიადაგის გარემო და წყლის ქიმიური შემადგენლობა	ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები ან მელიორაციული ნიადაგმცოდნეობა									5
49.	კონსერვაციული ბიოლოგია	არ გააჩნია									5
50.	ეკოლოგიის საფუძვლები	არ გააჩნია									5
51.	ლანდშაფტის არქიტექტურა	არ გააჩნია									5
52.	დემოკრატია და მოქალაქეობა	არ გააჩნია									5
53.	მეფუტკრეობა	არ გააჩნია									5
54.	სისტემური ანალიზი ს/მ კულტურებში და ნიადაგის მართვაში	ზოგადი და არაორგანული ქიმია, ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები.									5
55.	პოლიტოლოგია	არ გააჩნია									5

56.	მეწარმეობა სოფლის მეურნეობაში	არ გააჩნია								5
57.	ექსტენციის მოდული									
57.1	ექსტენცია და ინოვაცია	არ გააჩნია								20
57.2	სწავლის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები									
57.3	განვითარების პროექტების მართვა სოფლის მეურნეობაში									
57.4	საველე პრაქტიკა ექსტენციასა და აგროგანათლებაში									
სემესტრში			32	29	30	31	30	30	31	29
წელიწადში			61		61		60		60	
სულ			242							

სწავლის შედეგების რუკა

	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.	ზოგადი და არაორგანული ქიმია	+	+		+	+	
2.	მათემატიკის საფუძვლები	+				+	
3.	ინფორმატიკის ელემენტები	+	+	+		+	
4.	ბიოფიზიკა		+	+		+	
5.	დედამიწა	+		+			+
6.	უცხოური ენა I - (არჩევითი სასწავლო კურსები)						
6.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B1	+	+		+	+	
6.2	უცხოური ენა (რუსული) 1T	+	+		+	+	
6.3	უცხოური ენა (ფრანგული) – 1T	+	+		+	+	
6.4	უცხოური ენა (გერმანული) – 1 T	+	+		+	+	
7.	შესავალი სტატისტიკაში	+	+	+			
8.	კრიტიკული აზროვნების ელემენტები	+	+	+	+		
9.	ეკონომიკის პრინციპები	+	+			+	
10.	წერილობითი, ზეპირი, ვიზუალური და ელექტრონული კომპოზიცია	+	+	+	+	+	

11.	არჩევითი ბლოკი 1						
11.1	შესავალი აგრონომიის სპეციალობაში	+		+		+	
11.2	აგრონომიის საფუძვლები	+	+			+	
12.	უცხოური ენა II - (არჩევითი სასწავლო კურსები)						
12.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B2.1	+	+		+	+	
12.2	უცხოური ენა (რუსული) – 2T	+	+		+	+	
12.3	უცხოური (ფრანგული) ენა - 2T	+	+		+	+	
12.4	უცხოური (გერმანული) ენა 2 T	+	+		+	+	
13.	ზოგადი ბიოლოგია	+		+	+	+	+
14.	ამინდი და კლიმატი აგრონომიაში	+	+	+			+
15.	არჩევითი ბლოკი 2						
15.1	ფინანსური ანგარიშგება	+	+		+		
15.2	ბუღალტრული აღრიცხვა	+	+		+		
16.	არჩევითი ბლოკი 3						
16.1	კარიერის დაგეგმვა აგრონომიაში	+	+			+	
16.2	ფერმერული მეურნეობის საქმიანობის მართვა	+	+			+	
17.	არჩევითი ბლოკი 4						
17.1	ბიზნეს კომუნიკაცია	+			+	+	
17.2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	+			+	+	
18.	არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსები:						
18.1	ფილოსოფიის შესავალი	+	+		+	+	+
18.2	სოციოლოგია	+	+	+	+	+	+
18.3	გამოყენებითი ფსიქოლოგია	+	+		+	+	+
18.4	მოზარდთა და ზრდასრულთა ფსიქოლოგია	+	+		+	+	+
19.	ს/მ (მინდვრის) კულტურის მოვლა-მოყვანა, პროდუქტიულობა და მართვა	+	+			+	
20.	სტრუქტურები და რეაქციები ბიოქიმიურ პროცესებში	+	+		+	+	
21.	ენტომოლოგია	+	+	+	+	+	
22.	ბიოგანახლებადი სისტემები	+	+	+		+	
23.	ს/მ კულტურის სტრუქტურა - ფუნქციათა ურთიერთობები	+	+	+	+		+
24.	არჩევითი ბლოკი 5						
24.1	მელიორაციული ნიადაგმცოდნეობა	+	+	+			
24.2	ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები	+	+	+			
25.	ნიადაგი და გარემოს დაცვის	+	+				+

	ხარისხი						
26.	მცენარეთა გენეტიკა და სელექცია	+	+	+	+		+
27.	ორგანული სოფლის მეურნეობის თეორია და პრაქტიკა	+	+		+		+
28.	მებოსტნეობა	+		+	+		+
29.	სასოფლო-სამეურნეო მიკრობიოლოგია სანიტარიის და ჰიგიენის საფუძვლებით	+	+	+	+		
30.	მევენახეობა	+	+				+
31.	მცენარეთა დაცვის საფუძვლები	+	+	+	+		
32.	სოფლის მეურნეობის მექანიზაცია	+	+	+			
33.	მეხილეობა	+	+	+		+	
34.	ფიტოპათოლოგია	+	+	+		+	+
35.	მეცხოველეობის საფუძვლები	+	+			+	
36.	არჩევითი ბლოკი 6						
36.1	სარეველა მცენარეების იდენტიფიკაცია და მათი კლასიფიკაცია	+		+	+		+
36.2	საკვები კულტურების მართვა	+		+	+		+
37.	საჯარო გამოსვლების ტექნიკა	+	+		+		+
38.	მიწათმოქმედება	+	+	+			
39.	წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში	+	+	+		+	
40.	სასურსათო უსაფრთხოება	+	+	+			
41.	სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობა	+	+		+		
42.	ნიადაგი და მცენარის ზრდა-განვითარება	+	+	+			+
43.	სასწავლო პრაქტიკა აგრონომიაში		+	+			+
44.	არჩევითი ბლოკი 7						
44.1	შესავალი აგრობაზრებში	+	+	+		+	+
44.2	აგრობიზნესის მენეჯმენტი	+	+	+		+	+
სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები (არანაკლებ 20 კრედიტი)							
45.	საკითხები მდგრად სოფლის მეურნეობაში	+		+	+		+
46.	სასათბურე მეურნეობის ექსპლუატაცია და მართვა	+		+	+		+
47.	გეოინფორმაციული სისტემები აგრონომიაში	+	+	+		+	
48.	ნიადაგის გარემო და წყლის ქიმიური შემადგენლობა	+		+	+		+
49.	კონსერვაციული ბიოლოგია	+	+	+	+	+	+
50.	ეკოლოგიის საფუძვლები	+		+	+		+

51.	ლანდშაფტის არქიტექტურა	+					+	+
52.	დემოკრატია და მოქალაქეობა	+	+	+				+
53.	მეფუტკრეობა	+	+				+	
54.	სისტემური ანალიზი ს/მ კულტურებში და ნიადაგის მართვაში	+	+	+				
55.	პოლიტოლოგია	+	+	+	+	+	+	+
56.	მეწარმეობა სოფლის მეურნეობაში	+				+		+
57.	ექსტენციის მოდული							
	ექსტენცია და ინოვაცია	+	+			+	+	+
	სწავლის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები	+	+			+	+	+
	განვითარების პროექტების მართვა სოფლის მეურნეობაში	+	+			+	+	+
	საველე პრაქტიკა ექსტენციასა და აგროგანათლებაში		+			+	+	+

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუსაემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1.	PHS15310G1-LS	ზოგადი და არაორგანული ქიმია	6/150	30	30						1	1	88
2.	MAS32908G1-LP	მათემატიკის საფუძვლები	5/125	15		30					1	1	78
3.	ICT56201G1-B	ინფორმატიკის ელემენტები	5/125			45					1	1	78
4.	PHS68308G1-LB	ბიოფიზიკა	6/150	30			30				1	1	88

5.	PHS70903G1-LP	დედამიწა	5/125	15		30				1	1	78
6.	უცხო ენა I – (არჩევითი სასწავლო კურსები)											
6.1	LEH12310G3-P	უცხოური ენა (ინგლისური) – B1	5/125			45				1	1	78
6.2	LEH12610G3-P	უცხოური ენა (რუსული) 1T	5/125			45				1	1	78
6.3	LEH12410G3-P	უცხოური ენა (ფრანგული) – 1T	5/125			45				1	1	78
6.4	LEH12510G3-P	უცხოური ენა (გერმანული) – 1 T	5/125			45				1	1	78
7.	MAS34108G1-LP	შესავალი სტატისტიკაში	5/125	15		30				1	1	78
8.	SOS30812G1-LS	კრიტიკული აზროვნების ელემენტები	5/125	15	30					1	1	78
9.	SOS10912G1-LS	ეკონომიკის პრინციპები	5/125	15	30					1	1	78
10.	BUA74813G1-LS	წერილობითი, ზეპირი, ვიზუალური და ელექტრონული კომპოზიცია	5/125	15	30					1	1	78
11.	არჩევითი ბლოკი 1											
11.1	PDORI10GA1-LR	შესავალი აგრონომიის სპეციალობაში	4/100	15	30					1	1	68
11.2	AGC19910G1-LS	აგრონომიის საფუძვლები	4/100	15	30					1	1	68
12.	უცხოური ენა II - (არჩევითი სასწავლო კურსები)											
12.1	LEH12710G3-P	უცხოური ენა (ინგლისური) – B2.1	5/125			45				1	1	78
12.2	LEH13010G3-P	უცხოური ენა (რუსული) – 2T	5/125			45				1	1	78
12.3	LEH12810G3-P	უცხოური (ფრანგული) ენა - 2T	5/125			45				1	1	78
12.4	LEH12910G3-P	უცხოური (გერმანული) ენა 2 T	5/125			45				1	1	78
13.	BRS13610G1-LS	ზოგადი ბიოლოგია	6/150	30	30					1	1	88
14.	ENV13510G1-LS	ამინდი და კლიმატი აგრონომიაში	5/125	15		30				1	1	78
15.	არჩევითი ბლოკი 2											
15.1	SOS53610G1-LS	ფინანსური ანგარიშგება	5/125	15	30					1	1	78
15.2	BUA10513G1-LSP	ბუღალტრული აღრიცხვა	5/125	15	16	14				1	1	78
16.	არჩევითი ბლოკი 3											
16.1	BUA49410G1-L	კარიერის დაგეგმვა აგრონომიაში	5/125	45						1	1	78
16.2	BUA31810G2-LP	ფერმერული მეურნეობის საქმიანობის მართვა	5/125	15		30				1	1	78
17.	არჩევითი ბლოკი 4											
17.1	BUA48313G1-LP	ბიზნეს კომუნიკაცია	5/125	30	15					1	1	78

17.2		ინტერპერსონალური კომუნიკაცია	5/125	15	25					1	1	83
18.	არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსები:											
18.1	HEL30512G1-LS	ფილოსოფიის შესავალი	5/125	15	30					1	1	78
18.2	SOS40212G1-LS	სოციოლოგია	5/125	15	30					1	1	78
18.3	SOS30112G1-LS	გამოყენებითი ფსიქოლოგია	5/125	15	30					1	1	78
18.4		მოზარდთა და ზრდასრულთა ფსიქოლოგია	5/125	15	25					1	1	83
19.	AGC10110G2-LP	ს/მ (მინდვრის) კულტურის მოვლა-მოყვანა, პროდუქტიულობა და მართვა	6/150	30		30				1	1	88
20.	BRS22410G1-LB	სტრუქტურები და რეაქციები ბიოქიმიურ პროცესებში	5/125	15			30			1	1	78
21.	BRS13910G1-LP	ენტომოლოგია	5/125	15		30				1	1	78
22.	BRS15510G1-LP	ბიოგანახლებადი სისტემები	5/125	15	30					1	1	78
23.	AGC10210G2-LP	ს/მ კულტურის სტრუქტურა - ფუნქციონალური თეორიები	5/125	15		30				1	1	78
24.	არჩევითი ბლოკი 5											
24.1	ENV13610G1-LP	მელიორაციული ნიადაგმცოდნეობა	5/125	15		30				1	1	78
24.2	EET29310G1-LB	ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები	5/125	15			30			1	1	78
25.	ENV13710G1-LB	ნიადაგი და გარემოს დაცვის ხარისხი	5/125	15			30			1	1	78
26.	EET30210G2-LS	მცენარეთა გენეტიკა და სელექცია	5/125	15	30					1	1	78
27.	AGC10410G2-LP	ორგანული სოფლის მეურნეობის თეორია და პრაქტიკა	5/125	15		30				1	1	78
28.	AGC10510G2-LS	მეზოსტნეობა	5/125	15		30				1	1	78
29.	BRS15910G1-LB	სასოფლო-სამეურნეო მიკრობიოლოგია სანიტარიის და ჰიგიენის საფუძვლებით	5/125	15			30			1	1	78
30.	AGC20610G1-LP	მევენახეობა	5/125	15		30				1	1	78
31.	EET28510G1-LP	მცენარეთა დაცვის საფუძვლები	5/125	15		30				1	1	78
32.		სოფლის მეურნეობის მექანიზაცია	5/125	15		15			15	1	1	78

33.	AGC21710G1-LP	მეხილეობა	6/150	15		30				1	1	88
34.	BRS14010G1-LB	ფიტოპათოლოგია	5/125	30			15			1	1	78
35.	AGC17110G1-LS	მეცხოველეობის საფუძვლები	4/100	15		15				1	1	68
36.	არჩევითი ბლოკი 6											
36.1	BRS15710G1-LP	სარეველა მცენარეების იდენტიფიკაცია და მათი კლასიფიკაცია	5/125	15		15				1	1	78
36.2	AGC10310G2-LP	საკვები კულტურების მართვა	5/125	15		30				1	1	78
37.	BUA74913G1-LS	საჯარო გამოსვლების ტექნიკა	5/125	15	30					1	1	78
38.	AGC19810G1-LP	მიწათმოქმედება	5/125	15		15			15	1	1	78
39.	AAC40510G1- LPB	წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში	5/125	15	15	15				1	1	78
40.	MAP15710G1-LS	სასურსათო უსაფრთხოება	5/125	15	30					1	1	78
41.	AGC10610G2-LP	სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობა	5/125	15		30				1	1	78
42.	ENV13810G1- LSB	ნიადაგი და მცენარის ზრდა-განვითარება	6/150	30			30			1	1	88
43.		სასწავლო პრაქტიკა აგრონომიაში	5/125					45		1	1	78
44.	არჩევითი ბლოკი 7											
44.1	BUA31910G2-LP	შესავალი აგრობაზრებში	4/100	15		30				1	1	53
44.2		აგრობიზნესის მენეჯმენტი	4/100	14	28			8		1	1	48
სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები (არანაკლებ 20 კრედიტი)												
45.	BUA32010G2-LS	საკითხები მდგრად სოფლის მეურნეობაში	5/125	15	30					1	1	78
46.	AGC10710G2-LS	სასათბურე მეურნეობის ექსპლუატაცია და მართვა	5/125	15		30				1	1	78
47.	ICT24110G1-LP	გეოინფორმაციული სისტემები აგრონომიაში	5/125	15		30				1	1	78
48.	ENV14010G1-LB	ნიადაგის გარემო და წყლის ქიმიური შემადგენლობა	5/125	15			30			1	1	78
49.	BRS16010G1-LP	კონსერვაციული ბიოლოგია	5/125	15		30				1	1	78
50.	ENV14110G1-LS	ეკოლოგიის საფუძვლები	5/125	15	30					1	1	78
51.	AAC50310G1-LP	ლანდშაფტის არქიტექტურა	5/125	15		30				1	1	78
52.	SOS20413G1-LS	დემოკრატია და	5/125	15	30					1	1	78

		მოქალაქეობა										
53.	AGC14910G1-LP	მეფუტკრეობა	5/125	15		30				1	1	78
54.	ENV13910G1-LB	სისტემური ანალიზი ს/მ კულტურებში და წიადაგის მართვაში	5/125	15			30			1	1	78
55.	SOS20213G1-LS	პოლიტოლოგია	5/125	15	30					1	1	78
56.	SOS54210G1-LS	მეწარმეობა სოფლის მეურნეობაში	5/125	15	30					1	1	78
57.	ექსტენციის მოდული											
57.1		ექსტენცია და ინოვაცია	5/125	20				21		1	1	82
57.2		სწავლის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები	5/125	15	15	11				1	1	81
57.3		განვითარების პროექტების მართვა სოფლის მეურნეობაში	5/125	13	26					1	1	84
57.4		საველე პრაქტიკა ექსტენციასა და აგროგანათლებაში	5/125		14			100		1	1	9

პროგრამის ხელმძღვანელი
 აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების
 ინჟინერინგის ფაკულტეტის
 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ/შ

ვლადიმერ დოლიძე

ფაკულტეტის დეკანი

ვახტანგ უგრეხელიძე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

გიორგი ქვარცხავა

ირმა ინაშვილი

დამტკიცებულია

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის
 ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

06.10. 2016 წელი, ოქმი № 9

მოდირიცირებულია

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების
 ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

06.11.2018 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ქვარცხავა